

„დამტკიცებულია“
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება № 02-01/04. 08.02.2019 წ
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, სხალთის მთავარეპისკოპოსი სპირიდონი

„განხილულია“
აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
ოქმი № 02-04-06/01. 02.02.2019 წ

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების
ფაკულტეტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

მათემატიკა

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: მათემატიკის ბაკალავრი
QUALIFICATION/ACADEMIC DEGREE - BACHELOR OF MATHEMATICS

პროგრამის მოცულობა: 240 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი
ასოცირებული პროფესორი: გივი ჭუმბურიძე

ხიჭაური 2019

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მათემატიკა

განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

კვალიფიკაცია/მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მათემატიკის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა:

პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. განხორციელების ოპტიმალური ვადაა 4 წელი. 240 კრედიტიდან 125 კრედიტი ეთმობა ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს; 45 კრედიტი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს; 10 კრედიტი - არჩევით, ხოლო 60 კრედიტი - დამატებითი სპეციალობის კომპონენტებს.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიან ეროვნულ გამოცდების შედეგების საფუძველზე და „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და აქტუალობა

მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობა განპირობებულია მათემატიკის დარგისადმი არსებული მოთხოვნებით, რაც მომდინარეობს თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ყველა იმ სფეროდან, რომელიც მათემატიკურ მოდელირებას, ანალიტიკურ აზროვნებას და პროგნოზირებას მოითხოვს. პროგრამას მნიშვნელობას სძენს მზარდი მოთხოვნები მათემატიკის დარგის პედაგოგებისადმი, განსაკუთრებით რეგიონებში და მათ შორის მთიან აჭარაში. თანამედროვეობაში სწრაფად მზარდ და ცვალებად პროფესიულ გარემოში მათემატიკური განათლება ხელს უწყობს შესაბამის გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი უნარების ჩამოყალიბებას.

აქედან გამომდინარე პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული განათლება მათემატიკის ფუნდამენტურ და გამოყენებით დარგებში;
- გამოუმუშაოს სტუდენტს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც ხელს შეუწყობს მათემატიკურ და ზოგადად მეცნიერების დარგებში წარმოქმნილი თეორიული ან/და პრაქტიკული ამოცანების გაგებას, ანალიზს, შეფასებასა და გადაწყვეტას;
- უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელსაც ექნება საგნის - მათემატიკის ცოდნა და პედაგოგის კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში შესძლებს მათემატიკის სათანადო დონეზე სწავლებას ან/და სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.
- უზრუნველყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის მქონე სტუდენტის მომზადება და მისი მისწრაფებების დაკმაყოფილება პროგრამის ფარგლებში არსებული არჩევითი კურსებისა და დამატებითი სპეციალობის საშუალებით.

სწავლის შედეგები

1. ცოდნა და გაცნობიერება	
ზოგადი კომპეტენციები	დარგობრივი კომპეტენციები
<p>1. აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს.</p>	<p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მათემატიკის ფუნდამენტურ მიმართულებათა თეორიებისა და მეთოდების ცოდნა , კერძოდ: ✓ მათემატიკური ლოგიკისა და სიმრავლეთა თეორიის , როგორც მათემატიკის საფუძვლების ,ძირითადი ცნებებისა და მათემატიკური თეორიების აგების მეთოდებისა და პრინციპების ღრმა ცოდნა; ✓ მათემატიკური ანალიზის ,რიცხვთა თეორიის უმთავრესი საკითხების ცოდნა; ✓ ალგებრის , ანალიზური გეომეტრიისა და ალბათობის თეორიის კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა. ✓ მრავალი ცვლადის დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის, ნამდვილი და კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის ძირითადი კვლევის მეთოდების ფართო ცოდნა; ✓ მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებით თანამედროვე მიდგომებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაცია; ✓ სხვადასხვა ტიპის მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტისა და პრეზენტაციისათვის საჭირო პროგრამული პაკეტებისა და დაპროგრამების ენების ცოდნა; ✓ ელემენტარული მათემატიკის - ალგებრის, გეომეტრიის და ანალიზის საწყისების გაღრმავებული ცოდნა უმაღლესი მათემატიკის საფუძვლებზე დაყრდნობით და საჭიროების შემთხვევაში ფლობს მათი სწავლების მეთოდების თეორიულ საფუძვლებს და პრაქტიკული გამოყენების უნარებს . <p>აცნობიერებს:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მათემატიკის კლასიკური და თანამედროვე დარგების მეთოდების გამოყენების შესაძლებლობასა და მნიშვნელობას, როგორც მათემატიკის მომიჯნავე, ისე მეცნიერების , ტექნიკისა და ეკონომიკის სხვა-და-სხვა დარგებში.
2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	
<p>1. შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ფორმალური მათემატიკური ცნებების და განსაზღვრებების შემოღება და მათი მეშვეობით მათემატიკური დებულებების ჩამოყალიბება და დამტკიცება , აგრეთვე მათი სწავლება მარტივად და ნათლად ჩამოყალიბების მეშვეობით . ✓ შესაბამისი სირთულის ამოცანის დასმა, გააზრება , შესაბამისი განტოლებების , უტოლობების ,მათი სისტემების ,ოპტიმიზაციისა და ალბათურ-სტატისტიკური მათემატიკური მოდელების აგება და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მისი შესწავლა და ამოხსნა .
3. დასკვნის უნარი	
<p>1. შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მსჯელობის წარმოება და მისგან გამომდინარე სწორი დასკვნების მიღება ,ჩამოყალიბება; ✓ მათემატიკური მეთოდების გამოყენებით კონკრეტულ პრობლემებთან და ამოცანებთან დაკავშირებული არსებითი მონაცემების გამოკვლევა ანალიზის , სინთეზის , აბსტრაქციისა და სხვა ლოგიკური საშუალებებით.

გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება	
4. კომუნიკაციის უნარი	
შეუძლია იდეების, არსე-ბული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალის-ტებისა და არასპეციალის-ტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენაზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისი სირთულის მათემატიკური ამოცანების და მათი გადაჭრის გზების ,მიღებული შედეგების სამეცნიერო სტატიების ფორმით ჩამოყალიბება ან სხვა სახის წერილობითი და ზეპირი ანგარიშის მომზადება და გადაცემა ქართულ და უცხო ენებზე; ✓ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მათემატიკის სფეროში არსებული ელექტრონული რესურსების მოძიება და გამოყენება. ✓ მათემატიკის სხვა-და-სხვა მიმართულებების და საჭირო საკითხების სიღრმისეულად გააზრება , ჩამოყალიბება და მათი მკაფიო ფორმით გადაცემა მსმენელთათვის სათანადო რესურსების გამოყენებით.
5. სწავლა/სწავლების უნარი	
შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა	<p>შეუძლია</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ დამოუკიდებლად მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებიდან მისთვის საჭირო და საინტერესო სფეროს საკითხთა ჩამონათვალის განსაზღვრა, შესაბამისი ცოდნის შეფასება და გაღრმავება იმ დონეზე , რომელიც საჭიროა სწავლის გასაგრძელებლად უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე ან/ და სამეცნიერო კვლევის შესასრულებლად . ✓ აფასებს ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღწეულ შედეგებს და გეგმავს მათი გაუმჯობესების გზებსა და აქტივობებს.
6. ღირებულებები	
მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფის მათ დასამკვიდრებლად	<p>მონაწილეობს სამეცნიერო , პრაქტიკულ და პედაგოგიურ საქმიანობაში საზოგადოების კულტურულ , სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლაში მათემატიკის მნიშვნელობისა და როლის დამკვიდრების პროცესში; ისწრაფის ბუნებრივი გარემოსა და სიცოცხლის ჰარმონიზაციის დამკვიდრებისთვის; აგრეთვე იღწვის საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ტრადიციების დაცვისათვის.</p>

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

მათემატიკური სასწავლო კურსების სწავლებისას სტუდენტები წინასწარ გაეცნობიან სილაბუსებს , დაურიგდებათ შესასწავლი მასალა ან მიეთითებათ შესაბამისი ლიტერატურა. თეორიული მასალის გადაცემა ხდება ლექციის მსვლელობის დროს ახსნა-განმარტებითი მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ხოლო შესწავლილი თეორიული მასალის განმტკიცება ხდება პრაქტიკული ამოცანების დასმისა და გადაწყვეტის საშუალებით . მასალის თავისებურებისა და მიხედვით სწავლების პროცესი შეიძლება წარმართოს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ ან ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. პრაქტიკული უნარების გამომუშავებისა და ცოდნის განმტკიცების მიზნით ჯგუფში მუშაობის დროს გამოიყენება პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, რაც გულისხმობს კონკრეტული პრაქტიკიდან მომდინარე ამოცანის დასმას და ამოხსნას თეორიული მასალის გამოყენების გზით. ასევე დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავების გზაზე მიზანშეწონილია საშინაო დავალებისა და რეფერატების გამოყენება, ხოლო ჯგუფური მუშაობის და კომუნიკაციის უნარის გამოსამუშავებლად კი - ჯგუფური პროექტი.

პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების სწავლების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე შემდეგი მეთოდები:

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – რომელიც მოიცავს შესასწავლი მასალის გადმოცემას თხრობით (ვერბალურად) , ლექციით , საუბრით, დემონსტრაციით .ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ.

აღწარმოებითი მეთოდი -- გულისხმობს სანიმუშო ამოცანების ამოხსნას , ცდის გამეორებას , თეორემის მტკიცების პროცესს.

პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომა სათანადო ამოცანის დასმის , გააზრების და ამოხსნის გზით .

ევრისტიკულ -- კვლევითი მიდგომისას ხდება დასმული თეორიული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და ანალიზი სტუდენტების აქტიური მონაწილეობით .

შემთხვევის ანალიზი - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ საგანგებოდ შერჩეულ შემთხვევებს, რომელთა ანალიზიც ხელს უწყობს საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესწავლას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის გზით, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს, რაც თავის მხრივ მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, ყოველდღიურ აქტიურობას და მიმდინარე რეიტინგულ შეფასებას. შუალედური შეფასება შეიძლება აგრეთვე ითვალისწინებდეს სხვა კომპონენტებსაც;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის შეფასებას ეთმობა 40 ქულა, ხოლო 60 ქულა - შუალედურ შეფასებას.

მათემატიკურ დისციპლინებში დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებისათვის ძირითადად გამოიყენება საშინაო დავალება ან/და რეფერატი. მიმდინარე რეიტინგული შეფასების დროს წერთი ნაშრომი, რომელიც მოიცავს თეორიულ მასალას, განმარტებებს, ცნებებსა და პრაქტიკულ ამოცანებს, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს, როგორც ცოდნა, ისე ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. დასკვნითი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს როგორც წერთი, ისე ზეპირი ფორმით.

არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.

დადებითი შეფასებებია:

ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81- 90%;

გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71- 80%;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფითი შეფასებებია:

ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ) (F-0) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი “ჩაიჭრა” შეფასებას ღებულობს აგრეთვე:

ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;

ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით.

სასწავლო გეგმის სტრუქტურა

სასწავლო გეგმა																	
#	კომპონენტები	კრედიტებისრაოდენობა	საათების რაოდენობა	საათების განაწილება						კრედიტებისგანაწილებასემესტრები სმიხედვით							
				ლექცია	პრაქტიკული/პრაქტიკა	ჯგუფში მუშაობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი სამუშაო	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი
	საუნივერსიტეტო კურსები	45															
1	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	3	75	15		9	1	2	48	3							
2	ქართული ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი)	5	125	23		20	2	3	77		5						
3	აკადემიური წერა	3	75	10		14	1	2	68			3					
4	ქართული ხელოვნების ისტორია	5	125	26		13	2	4	80				5				
5	ფილოსოფიის შესავალი	2	50	14		3	1	2	30	2							
6	ფსიქოლოგია	2	50	14		3	1	2	30			2					
I1	ინგლისური ენა -A1	5	125			42	1	2	80	5							
I2	ინგლისური ენა -A2	5	125			42	1	2	80		5						
I3	ინგლისური ენა -B1	5	125			42	1	2	80			5					
I4	ინგლისური ენა -B2	5	125			42	1	2	80				5				
7	რუსული ენა	5	125	21		21	1	3	79			5					
	სპეციალობის ძირითადი კურსები	125															
8	საინფორმაციო ტექნოლოგიები	5	125	15	25		2	3	80		5						
9	მათემატიკის შესავალი	5	125	15	29		1	3	77	5							
10	ფიზიკის შესავალი	5	125	15	29		1	3	77		5						
11	დაპროგრამების საფუძვლები	5	125	15	25		2	3	80				5				
12	მათემატიკური ანალიზი I	5	125	15	29		1	3	77	5							
13	მათემატიკური ანალიზი II	5	125	15	29		1	3	77		5						
14	მათემატიკური ანალიზი III	5	125	15	29		1	3	77			5					
15	ფუნქციათა თეორია	5	125	15	29		1	3	77				5				
16	ანალიზური გეომეტრია I	5	125	15	29		1	3	77			5					
17	ალგებრა I	5	125	15	29		1	3	77		5						
18	ალგებრა II	5	125	15	29		1	3	77				5				
19	მათემატიკური ლოგიკის საფუძვლები	5	125	15	29		1	3	77	5							
20	დიფერენციალური განტოლებები	5	125	15	29		1	3	77				5				
21	ალბათობის თეორია	5	125	15	29		1	3	77					5			

22	მათემატიკური სტატისტიკა	5	125	15	29		1	3	77							5		
23	კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია	5	125	15	29		1	3	77			5						
24	რიცხვთა თეორია	5	125	15	29		1	3	77			5						
25	გამოთვლების მეთოდები	5	125	15	29		1	3	77						5			
26	ტოპოლოგია	5	125	15	29		1	3	77						5			
27	ოპტიმიზაციის თეორია	5	125	15	29		1	3	77								5	
28	სიმრავლეთა თეორიის საწყისები	5	125	15	29		1	3	77	5								
29	გეომეტრიის საწყისები	5	125	15	29		1	3	77				5					
30	უმაღლესი ალგებრა	5	125	15	29		1	3	77							5		
31	არაწრფივი ფუნქციონალური ანალიზი	5	125	15	29		1	3	77				5					
32	მათემატიკის ისტორია	5	125	15	29		1	3	77								5	
	სპეციალობის არჩევითი კურსები	10														5	5	
33	ინტეგრალური განტოლებები	5	125	15	29		1	3	77									
34	ელემენტარული მათემატიკის საფუძვლები	5	125	15	29		1	3	77									
35	ანალიზური გეომეტრია II	5	125	15	29		1	3	77									
36	წრფივი ალგებრა	5	125	15	29		1	3	77									
37	ჯგუფთა თეორია	5	125	15	29		1	3	77									
38	შემთხვევით პროცესთა თეორია	5	125	15	29		1	3	77									
39	ფინანსური მათემატიკა	5	125	15	29		1	3	77									
	დამატებითი სპეციალობა	60													15	15	15	15
	სულ ჯამი	240								30	30	30	30	30	30	30	30	

ადამიანური და მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო აუდიტორიები უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკით, ელექტრონული რესურსებით, ინტერნეტ

ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასებით.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ადამიანური რესურსი:

1. **დავით ზარნაძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. **გივი ჭუმბურიძე** – ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
3. **გიული თავდგირიძე** – ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
4. **ნინო ცინარიძე** – ფიზიკა-მათემატიკის აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი.
5. **ივერი მუკუტაძე** – მოწვეული ლექტორი.
6. **ჯუმბერ აბაშიძე** – მოწვეული ლექტორი.
7. **თამილა ჩურკვეიძე** – მოწვეული ლექტორი.
8. **სულხან ალექსაია** – ისტორიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი .
9. **ეთერ დიასამიძე** -ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი .
10. **ნონა შუშანიძე** – ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი .
11. **ნათელა ბერიძე** - საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი .

პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური კონტიგენტი:

მატერიალურ-ტექნიკური ბაზიდან და ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე, მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია ყოველწლიურად 25 სტუდენტის მიღება.

სწავლის შედეგების რუკა							
სასწავლო კურსები		დარგობრივი კომპონენტები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	+	+	+	+	+	+
2	ქართული ლიტერატურის ისტორია(ზოგადი კურსი)	+	+	+	+	+	+
3	აკადემიური წერა	+	+	+	+	+	+
4	ქართული ხელოვნების ისტორია	+	+	+	+	+	+
5	ფილოსოფიის შესავალი	+	+	+	+	+	+
6	ინგლისური ენა	+	+	+	+	+	+
7	რუსული ენა	+	+	+	+	+	+
8	საინფორმაციო ტექნოლოგიები	+	+	+	+		
9	მათემატიკის შესავალი	+	+			+	
10	ფიზიკის შესავალი	+	+				+
11	დაპროგრამების საფუძვლები	+	+		+	+	+
12	მათემატიკური ანალიზი I	+	+	+			+
13	მათემატიკური ანალიზი II	+	+			+	
14	მათემატიკური ანალიზი III	+	+				+
15	ფუნქციათა თეორია	+	+			+	+
16	ანალიზური გეომეტრია I	+	+			+	
17	ალგებრა I	+	+			+	+
18	ალგებრა II	+	+			+	+
19	მათემატიკური ლოგიკის საფუძვლები	+	+	+	+	+	+
20	დიფერენციალური განტოლებები	+	+			+	+
21	ალბათობის თეორია	+	+			+	+
22	მათემატიკური სტატისტიკა	+	+	+		+	
23	კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია	+	+			+	+
24	რიცხვთა თეორია	+	+			+	
25	გამოთვლების მეთოდები	+	+			+	
26	ტოპოლოგია	+	+	+			
27	ოპტიმიზაციის თეორია	+	+	+	+		+
28	სიმრავლეთა თეორიის საწყისები	+	+	+		+	
29	გეომეტრიის საწყისები	+	+			+	+
30	უმაღლესი ალგებრა	+	+			+	+
31	არაწრფივი ფუნქციონალური ანალიზი	+	+			+	
32	მათემატიკის ისტორია	+	+			+	+
33	ინტეგრალური განტოლებები	+	+				
34	ელემენტარული მათემატიკის საფუძვლები	+	+		+	+	+
35	ანალიზური გეომეტრია II	+	+			+	+
36	წრფივი ალგებრა	+	+			+	+
37	ჯგუფთა თეორია	+	+				+
38	მათემატიკური ფიზიკის განტოლებები	+	+			+	+
39	შემთხვევით პროცესთა თეორია	+	+				
40	ფინანსური მათემატიკა	+	+		+		

წინაპირობათა ცხრილი

სასწავლო კურსები	წინაპირობები
საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)	წინაპირობა არ აქვს
ქართული ლიტერატურის ისტორია (ზოგადი კურსი)	წინაპირობა არ აქვს
აკადემიური წერა	წინაპირობა არ აქვს
ქართული ხელოვნების ისტორია	წინაპირობა არ აქვს
ფილოსოფიის შესავალი	წინაპირობა არ აქვს
ინგლისური ენა A1 ინგლისური ენა A2 ინგლისური ენა B1 ინგლისური ენა B2	წინაპირობა არ აქვს ინგლისური ენა A1 წინაპირობა არ აქვს ინგლისური ენა B1
რუსული ენა I რუსული ენა II	წინაპირობა არ აქვს რუსული ენა I
სპეციალობის ძირითადი კურსები	
საინფორმაციო ტექნოლოგიები	წინაპირობა არ აქვს
მათემატიკის შესავალი	წინაპირობა არ აქვს
ფიზიკის შესავალი	წინაპირობა არ აქვს
დაპროგრამების საფუძვლები	წინაპირობა არ აქვს
მათემატიკური ანალიზი I	წინაპირობა არ აქვს
მათემატიკური ანალიზი II	მათემატიკური ანალიზი I
მათემატიკური ანალიზი III	მათემატიკური ანალიზი II
ფუნქციათა თეორია	მათემატიკური ანალიზი III
ანალიზური გეომეტრია I	მათემატიკის შესავალი
ალგებრა I	მათემატიკის შესავალი
ალგებრა II	ალგებრა I
მათემატიკური ლოგიკის საფუძვლები	წინაპირობა არ აქვს
დიფერენციალური განტოლებები	მათემატიკური ანალიზი I
ალბათობის თეორია	მათემატიკური ანალიზი I
მათემატიკური სტატისტიკა	ალბათობის თეორია
კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორია	მათემატიკური ანალიზი I
რიცხვთა თეორია	წინაპირობა არ აქვს
გამოთვლების მეთოდები	მათემატიკური ანალიზი I
ტოპოლოგია	ალგებრა I
ოპტიმიზაციის თეორია	მათემატიკური ანალიზი III
სიმრავლეთა თეორიის საწყისები	წინაპირობა არ აქვს
გეომეტრიის საწყისები	ანალიზური გეომეტრია I
უმაღლესი ალგებრა	ალგებრა II
არაწრფივი ფუნქციონალური ანალიზი	ფუნქციათა თეორია
მათემატიკის ისტორია	წინაპირობა არ აქვს
ინტეგრალური განტოლებები	ფუნქციათა თეორია

ელემენტარული მათემატიკის საფუძვლები	ალგებრა I , მათემატიკური ანალიზი I , ანალიზური გეომეტრია I
ანალიზური გეომეტრია II	ანალიზური გეომეტრია I
წრფივი ალგებრა	წინაპირობა არ აქვს
ჯგუფთა თეორია	ალგებრა I
მათემატიკური ფიზიკის განტოლებები	მათემატიკური ანალიზი III
შემთხვევით პროცესთა თეორია	ალბათობის თეორია
ფინანსური მათემატიკა	წინაპირობა არ აქვს